# საქართველო
# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 42 03/07/2017

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული სოფელ ღორეშის საერთი კრების პეტიციის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი განხილვის შედეგების შესწავლის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 86 მუხლის მე-15 , მე-20 და 22 -ე პუნქტების საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ სოფელ ღორეშის საერთი კრების პეტიციის განხილვის შედეგების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნეს ცნობად.

**მუხლი 2.** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა (ნ.თოფურიძემ დაავალოს გამგეობის შესაბამის სამსახურებს უზრუნველყონ შესაბამისი საპროექტო წინადადების მომზადება სოფელ ღორეშის საერთი კრების პეტიციით მოთხოვნილი პრობლემებიდან კვადოურის უბნის სასაფლაომდე მისასვლელი 150 მეტრი გზის რეაბილიტაციის მიმდინარე წელს გადაწყვეტის თაობაზე.

**მუხლი 3.** აღნიშნული განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, რომელმაც პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია საკრებულოს გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

**მუხლი 4.** განკარგულება გადაეგზავნოს საერთო კრების რჩეულს.

**მუხლი 5**. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე